საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7157/01
09/07/2021

7157-01-2-202107091647

შპს „უოლნათს.ჯის“ გენერალურ მენეჯერს,
ბატონ გიორგი ქადარიას
მის: ქ. თბილისი, თარხნიშვილის ქ. N16
ელ.ფოსტა: gm@walnuts.ge

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 15 ივნისის N10533 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემისა და წყალშემკრები რეზერვუარის (14 000 მ^3) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2021 წლის 23 ივნისის №DES 9 21 00037420 (სამინისტროს რეგისტრაციით N11085) წერილისა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, ადგილზე განხორციელებული დათვალიერების შედეგად ცნობილი გახდა, რომ შპს „უოლნათს.ჯის“ მის საკუთრებაში არსებულ მიწებზე (ს/კ 55.28.511.193; 55.28.51.192; 55.28.51.168; 55.28.51.167; 55.28.51.165; 55.28.51.164; 55.28.51.159; 55.28.51.158; 55.28.51.156; 55.28.51.148; 55.28.51.028; 55.28.51.027; 55.28.51.025) მოწყობილი აქვს სამელიორაციო სისტემების წყალგაუმტარი მემბრანის 4 ტბორი/რეზერვუარი (მოცულობით 12800 მ^3, 22500 მ^3, 4725 მ^3 და 2000 ტ), სადაც ხდება აღებული წყლის შენახვა შემდგომი გამოყენებისთვის. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 14 ივნისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №062754 ოქმი და განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შპს „უოლნათს.ჯის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნა წერილი, რომლის თანახმად კომპანიის მიერ 2020 წელს მოწყობილი წყალშემკრები რეზერვუარის მოცულობაა 22500 მ^3.

წარმოდგენილ სამელიორაციო სისტემის სკრინინგის ანგარიშში, საპროექტო ტერიტორიად განხილულია მხოლოდ სამი მიწის ნაკვეთი (ს/კ 55.28.51.027, 55.28.51.025 და 55.28.51.156) და ერთი 14000 $მ^3$ მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარი. ამასთან დოკუმენტაციის თანახმად წყალგაუმტარი მემბრანით მოწყობილი ტბა/რეზერვუარი მომზადდა ამა წლის მარტის თვეში, სადაც ხდება მდინარიდან აღებული წყლის შეგროვება (ს.კ. 55.28.52.156).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის, მათ შორის რეზერვუარ(ებ)ის ზუსტი მოცულობისა და მოწყობის პირობების გათვალისწინებით. ამასთან, განხილული უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების საკითხი მდ. რიონზე სხვა წყალმომხმარებლების და არსებული რეზერვუარების გათვალისწინებით.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადება.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის 21-ე პუნქტის თანახმად, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 $მ^3$-ზე მეტია, ექვემდებარება სკოპინგის პროცედურას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე